

მხედრობა

შ ი ნ ა ა რ ს ი:

პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობათა
თანამუშაობის დებულებანი სახელმწიფოში და
მათი განხორციელება ჩვენში —
ომის მსხვერპლი და ერის ზრდა
საომარი მოქმედებანი მთაში

ვ. ნა — ლი
ვ. მოძველი
ნ. თოხაძე

მეგობარი

ქართულ იუნიკოდზე დაფუძნებული
ქართული საბავშვო საზოგადოებრივი
სამსახური

პარიზი, აპრილი, 1631 წ.

№ 9

პოლიტიკურ და სამხედრო

ხელმძღვანელობათა თანამუშაოების

დებულებანი სახელმწიფოში და

მათი განხორციელება ჩვენში

(დასასრული)

ყარსის დაპყრობა

1920 წლის შემდეგი ღირსაღსანიშნავი მოვლენა იყო: — ოსმალეთის მიერ აქტიური პოლიტიკის დაწყება. ქემალ ფაშას ოსმალეთმა, — დიდ აურზაურის გამომწვევ რეფორმათა რეკლამის მიუხედავად, — ძველი ნაცადი ხრიკით მიმართა ამიერკავკასიას. ტფილისში ჩამოვიდა ოსმალეთის ელჩი ჭიაზიმ ბეი. მისი პოლიტიკური მისია იყო — გამოერკვია საქართველოს პოლიტიკური პოზიცია ოსმალეთის მიერ ყარსის დაპყრობის შემთხვევაში.

ყარსი სომხეთას ხელში — ეს ჩვენთვის ნიშნავს, რომ ამიერკავკასიის კარი კავკასიელ ერების ხელშია, რომლის ცხოვრების დებულებანი ექვემდებარებიან ამ გეოგრაფიული მთლიანი ერთეულის ცხოვრების დებულებებს; ყარსი სომხეთის ხელში — იმ ერის ხელშია, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში საქართველოს ვერ დაიპყრობს; რომელიც საქართველოსათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს; რომელსაც არ შესწევს ძალა ჩვენს მიმართ სისტემატიური აგრესიული პოლიტიკა აწარმოოს, თუ გინდ რომ ჰქონდეს კიდევაც ამისი სურვილი.



თოთხმეტ მილიონიან მცხოვრებთა ოსმალეთი, რომელსაც არაფერი
 თარი საფრთხე არ მოეღის ამიერკავკასიის მხრიდან, რომელსაც არ
 სჭირდება აოაეთირი უზრუნველყოფა კავკასიის მხრიდან, მოარღვევს
 გზებს და სცდილობს კარების შემომტვრევას ამიერკავკასიის შუაგული-
 საკენ; იპყრობს ბაზას, რომლიდანაც სტრატეგიულად უშუალოდ ემუქ-
 რება მთელ ამიერკავკასიას და ამით საქართველოსაც. ეს საკითხი უკვე
 ცი ღდება სომხეთის საზღვრებს და საერთო კავკასიის საკითხს წარმო-
 ადგენს. მერე რით ასაბუთებდა ოსმალეთი ასეთ ნაბიჯს? — ბრესტის
 ხელშეკრულების ძალით ყარსი ოსმალეთს ეკუთვნისო! იმ ბრესტის ხელ
 შეკრულების ძალით, რომელიც აძლევდა ოსმალეთს ჩვენს არდაგანს,
 ჩვენს ართვინს და ჩვენს ბათუმს. მერე რა გარანტია გექონდა იმისა,
 რომ ყარსის შემდეგ არ დადგებოდა არდაგან-ართვინ-ბათუმის საკითხი?
 აქ საქართველოს პოზიცია სრულიად ნათელი და გარკვეული უნდა ყო
 ფილიყო: — ყარსი მხოლოდ და მხოლოდ სომხეთის ხელში უნდა დარ-
 ჩენილიყო. ამ საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტაში არავითარ შემთხვევა-
 ში საქართველოს არ შეეძლო ნეიტრალური გამხდარიყო, ვინაიდან სომ-
 ხეთთან ერთად ჩვენი საკითხიც სწყდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს იმ პირობებში არ შეეძ-
 ლო თავის მოთხოვნილებათა შეიარაღებული ძალებით განმტკიცება-
 მაგრამ მაშინ ოსმალეთი ჯერ ისე სუსტი იყო, რომ საკმარისი იქნებო-
 და ახალ მოვლინებულ დამპყრობთა ასალაგმავად მხოლოდ პოლიტი-
 კური ინტერვენცია საქართველოსი. გარდა ამისა, შექმნილი მდგომარე-
 ობის ავტორნიც ხომ ჩვენ ვიყავით და მგონი სახელმწიფო მოღვაწეობა-
 ში აუცილებელია შორსმჭვრეტელობა ისეთ მანძილზე მაინც, რომ მაი-
 სში გადადგმული ნაბიჯის შედეგები იმავე წლის შემოდგომაზე მოუ-
 ლოდნელად და გაუთვალისწინებლად არ მოგვევლინოს.

საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საქართველოს
 ნეიტრალობის გოლუბრყვილო დემონსტრაცია მოახდინა და ხაზგასმით
 აღნიშნა, რომ ჩვენ ინტერესი არა გვაქვს საქართველოს საზღვრების გა-
 რეშე და ვურიგდებით ყოველივე ფაქტსო. დიახ, ვურიგდებოდით ყოვე
 ლივე ფაქტს, სანამ ამ ფაქტთა რიცხვში ჩვენი უკანასკნელი ტრალედიაც
 არ მოჰყვა.

ქემალმა რამოდენიმე ასეული ასკერით დაიპყრო ყარსი.

კავკასიისადმი ტრადიციულად აგრესიულ განწყობილმა მეზო-
 ბელმა ახლად შემთანგრია ამიერკავკასიის კარები და ამ თავისი აგრე-
 სივობის ნიადაგი განიმტკიცა.



ჩვენ ამის ალაგმვაც შეგვეძლო, მაგრამ ამ ფაქტსაც შევეუბრებოდით. არც ერთი ნაწილი ქართული პრესისა, არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი არ აცხადებდა პროტესტს ამ აქტის წინააღმდეგ სულ უბრალო პლატონური გულის წყრომით მაინც. ვხედავთ, ბატონებო, რომ მთელი პოლიტიკური აზროვნება, პარტიული მიმართულების განუზრგვლად ამავე ნიადაგზე იდგა და საქართველოს საზღვრების ემბლემატიურ მნიშვნელობას ვერ სცილდებოდა.

სომხეთის ღაყვრობა

1920 წლის ბოლოს რუსეთი ომის გამოუცხადებლად შედის სომხეთში და იპყრობს მას. საქართველო ამ დროს პოლიტიკურად ისეთ მდგომარეობაშია, რომ ჩვენ აღარა გვაქვს საკუთარ მოთხოვნილებათა კარნახის საშუალება. მაგრამ მაინც საინტერესოა — როგორ შეხვდა ამ ფაქტს ჩვენი საზოგადოება და როგორ შეაფასა იგი.

«იქ, ბეზობდალისაკენ! იქ უნდა აღიმართოს დღეს ჩენი დროშა», სწერდა ერთგულ დემოკრატების «საქართველო» და აღნიშნავდა, რომ ბორჩალოს მაზრა მუდამ საქართველოს ორგანიულ ნაწილს და მის ბუნებრივ ზღუდეს წარმოადგენსო.

სოციალისტ ფედერალისტების «სახალხო საქმე» აღნიშნავდა, რომ ნეიტრალური ზონა, ეს სომხეთ—საქართველოს შინაური საკითხია და სომხეთში რუსეთის შესვლით იგი თავის თავად ამოწურულია, და საქართველომ უნდა დაიკავოს იგი. ბეზობდალისკენვე იქმნა გაგზავნილი მმართველი ჯგუფის მიერ ქართული ჯარი, სადაც მან სამი კვირით აღმართა ჩვენი დროშა.

ვხედავთ, ბატონებო, რომ არც ერთი პოლიტიკური ჯგუფის შეგნება არ გადასცილდა ბეზობდალს, არც ერთი მათგანი არ გრძობდა, რომ ბეზობდალს გადაღმა სომხეთის დახრჩობას ის ხელები იმიტომ სწვდებოდნენ, რათა შემდეგ მარდათ და მკვიდრად ჩაესვათ ფრჩხილები საქართველოს კისერში. აი, აქა გვეჭრიდა კბილს 1918 წ. სომხეთ საქართველოს ომის გაუთავებლობის შედეგი და მისი ანარეკლი ნეიტრალური ზონა. აი, ეს ორი მაზრა ფანტიკური სიმწვავეთ თითქმის მთელ ამიერკავკასიას საშუალებას ართმევდა მდგომარეობა რეალურად შეეფასებია. სომხეთის მთელი პოლიტიკური გამჭრიახობა იქით იყო



მიპყობილი, საიდანაც მას მოსალოდნელად მიაჩნდა რისიმე შემატება საქართველოც მთელი ძალით მუშაობდა თავისი ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენისათვის. ამიტომ ყარსის დაპყრობა ჩვენ არ შეგვეხებოდა, ხოლო სომხეთის ტრალედია ჩვენთვის ნეიტრალური ზონის დაბრუნება იყო.

აი, შედეგი ოპერაციის დაუმთავრებლად ქირურგის მაგიდიდან ავადმყოფის ჩამოღებისა! 1918 წელს შეეძლო ამ საკითხის სამუდამო გადაწყვეტა და ამ ატმოსფეროს სამუდამოდ გაწმენდა. ეს ვერ მოხდა და მის მიერ შექმნილმა ატმოსფერომ კიდევ ერთი მძიმე ჭრილობა მიუძღვნა ამიერკავკასიას.

კი! დღეს ყოველ პატიოსან კავკასიელს ამისი მოგონება მწარე ქენჯნასა და ტკივილს აღუძრავს. მაგრამ სწორედ ეს წყლულები გვავალებს გაშიწივასა და შესწავლას, რომ ყოველ ქართველ და სომეხ პოლიტიკურმა მოღვაწემ შეიგნოს, რომ სულ სხვა იყო, მათი პოლიტიკური ჭვრეტა — და სულ სხვა უნდა ყოფილიყო და უნდა იყოს მისი ნამდვილი ძიმართულება. აი, ამ შეგნების დაბადება გვაძლევს უფლებას ძველ იარების შეხებასა და ამით გამოწვეულ ტკივილებს არ მოვერიდოთ.

ბათუმის დაბრუნება და იუკილიული ცნობა

საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის დასაწყისში იყო დრო, როდესაც ქართული საზოგადოება ერის პოლიტიკურ მდგომარეობას საუცხოოდ იცნობდა და ყოველგვარ მოვლენაში კარგად ერჩეოდა. როგორ აფასებდა ამ მდგომარეობას დღეს ქართული საზოგადოება და როგორ აფასებდა მას ევროპა?

შეურიგდა თუ არა საქართველო ამიერკავკასიაში რუსეთის მიერ ფეხის მოკიდებას? ანტანტა დარწმუნდა, რომ მისთვის თამაში სანთლის საფასურს აღარ წარმოადგენდა, ააფეთქა ბათუმის ფორტები და გადმოგვცა ჩვენ. ჩვენ ეს ჩვენი გამარჯვების შედეგად ავხსენით და ზეიმით შევეგებეთ ამ ფაქტს. დიახ, ვზეიმობდით და მართლაც საზეიმო იწებოდა, რომ ეს ზემოაღწერილი მდგომარეობით არ ყოფილიყო გამოწვეული; დღეს კი ეს გამაბრუებელი და მომწამლავი ნექტარი იყო, რომელმაც მოწამლულის ნექტარების ღიმილით წაგვართვა მდგომარეობის სიმწვავის გრძნობა და მოგვისპო მისი შეფასების შეგნება.

1921 წლის იანვარში აღსრულდა ჩვენი ხანგრძლივი სურვილი:

დამოუკიდებლობა იურიდიულად იქმნა ცნობილი. ამან გამოიწვია უკანასკნელი სტიქიური აღმოჩენა ერის აღფრთოვანებისა და გალალბული ზეიმი. დიახ, ერი ზეიმობდა და მართლაც საზეიმო იყო ეს დღე. ეს ხომ საქართველოს სამართლიანი სურვილების დაგვირგვინება იყო! დიახ, ვზეიმობდით და ეს ზეიმი სიფხიზლესა და მდგომარეობის შეგნებას გვართმევდა. ამ დღეს თავისი წვეთი შხამი დაჰყვა და ვისაც თვალები ჰქონდა, შეეძლო მისი დანახვა.

ქენევის კონფერენციაზე, როდესაც დაისვა საკითხი ესტონიის, ლოტვიის, ლიტვისა და საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობისა, ინგლისის წარმომადგენელმა განაცხადა: «პირველი სამი რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის საწინააღმდეგო ინგლისს არაფერი აქვს, მაგრამ რაც შეეხება საქართველოს, ეს რესპუბლიკა უმწეო მდგომარეობაში იმყოფება და დამოუკიდებლობას ვერ შეიძენს, ხოლო მისი იურიდიული ცნობა შემდეგში ამ ერის დაცვას დაგვაკისრებს და ამითი რთული მდგომარეობა შეიქმნება»-ო. ამაზე შვეციის წარმომადგენელმა უპასუხა: «კი, შეიძლება საქართველომ ვერ შეიძენოს დამოუკიდებელი არსებობა, მაგრამ დღეს მისი არ ცნობა იქნება ჩვენს მიერ მომავლადვისათვის პურის მაგიერ ჭვის მიწოდება»-ო. აი, ამ ნიადაგზედ იქმნა ცნობილი იურიდიულად საქართველოს დამოუკიდებლობა. მატერიალისტური ევროპა უფრო ღმობიერი გამოდგა, ვიდრე ჩვენ იმას ვიმსახურებდით: მოკცა, რასაც ვთხოვდით, გვაკურთხა და გაგვიშვა საჯალათო მოედანზე, რომელზეც ჩვენი თავი თვითონვე დავაყენეთ.

ამ პოლიტიკურ ატმოსფეროში ნელნელა ახლოვდება რუსეთ — საქართველოს უკანასკნელი ომი. ეს არ იყო ის ომი, რომელსაც ჩვენი ბედი უნდა გადაეწყვიტა. იგი უკვე გადაწყვეტილი იყო; ჩვენი ბოლო 1920 წლის მაისში დაიწყო; რუსეთს ეხლა მხოლოდ ამ ფაქტის ხარბახების გრგვინვით აღბეჭდვა სჭიროდა.

ვხედავთ, ბატონებო, რომ ეს ომი უკვე თავიდანვე პოლიტიკურად წაგებულა; კავკასიაში არც ერთი თანამებრძოლი აღარ მოგვეპოვება; ვხედავთ, რომ ევროპას ვეღარ დავაინტერესებთ და რუსეთს ჩვენი ტრადიციის გათამაშებაში ფაქტიურად თავისუფალი ხელი ექნება. ამ პირობების შექმნის შემდეგ შეუძლებელია სამხედრო ხელმძღვანელობას გამარჯვება მოეთხოვოს. რა სახის უნდა ყოფილიყო ეს გამარჯვება საქართველოს რუსეთთან განცალკევებულ ომში, როდესაც ჩვენი საზღვრების მოგერიება მაინც არ სწყვეტდა საკითხს, სანამ რუსეთს



ასიაში ფეხი ჰქონდა მოკიდებული. — დიახ! მხედრობა წინააღმდეგობას უწევს. რმაოდგენს ჯარისკაცთა კრებულს და იგი ყოველ ბრძანებაზე მოახერხებს სიკვდილს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას ყოველ წუთში შეეძლოს დიპლომატიის მიერ უკიდურეს მდგომარეობამდე მიყვანილი გარემოების გამოსწორება. ამ შემთხვევაში საჭირო იყო სასწაული ან ზეკაცი. დიახ, სასწაულს, ზეკაცს ან რაიმე შემთხვევას შეეძლო მხოლოდ საქართველოს გადარჩენა 1921 წელს.

ომის პოლიტიკური მომზადების დებულებანი მოითხოვენ, რომ ერს, თუ იგი იძულებული იქნება ომი აწარმოოს, ეს ისეთ პირობებში მოუხდეს, რომ მისი წარმოება შესაძლებელი იყოს ჩვეულებრივი მომაკვდავი ადამიანისთვის და რომ მას ჰქონდეს ამ ომის მოგების ერთგვარი მათემატიკური შანსები. მაგრამ თუ ამ ომის მოგებისათვის აუცილებელი იქნება ზეკაცი ან სასწაული ან რაიმე გაუთვალისწინებელი მოვლენა — ეს უკვე ამ მომზადების ნაკლულფოვანებას მოწმობს. დიახ, დღეს ამ ომის მომზადების არც ერთი ჩვენზე დამოკიდებული პოლიტიკური ელემენტი არ გვაძლევდა უფლებას მის გამარჯვებით დამთავრებაზე გვეფიქრა, მაშინ როცა რამოდენიმე თვის წინად ყოველგვარ ეჭვს გარეშე შეგვეძლო გამოგვერკვია ჩვენი და მთელი კავკასიის ბედი. აი, კლასიკური მაგალითი კაცთმოყვარებისა და სისხლის დაზოგვის... აი, კლასიკური მაგალითი პასუხსაგები ნაბიჯის გადადგმისა მორიდებით და საკითხის გადაჭრის თავიდან აცილებით ერის სისხლში ჩახრჩობის და მთელ საუკუნეთა მატერიალურ და კულტურულ ნაწევანდაგის განიავებისა და სისხლის ზღვის გაფლანგვის!

ეს ხომ ყველასათვის ცხადია, რომ 1920 წელს საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა მოერიდა ომს მხოლოდ სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად და საკითხის მახვილის სიმწვავეზე დაყენების აცდენისათვის. ეს, რასაკვირველია, ძლიერ კეთილშობილი მისწრაფებაა! მაგრამ კავითვალისწინით — რამდენ მსხვერპლს შეიწირავდა კავკასიის განთ ვისუფლება 1920 წელს რუსეთის მოქანცულ ორ დივიზიასთან ბრძოლაში... და გადავავლოთ თვალი, რა სისხლის ბეგარა გაიღო ჭალარა კავკასიონმა, 1920 წლის განჯის აჯანყებაში, 1921 წლის საქართველო—რუსეთის ომში, 1921 წლის სომხეთის აჯანყებაში, 1924 წლის საქართველოს აჯანყებაში, წლევანდელ აზერბეიჯანის აჯანყებაში, რამდენი მსხვერპლი შეიწირა მოსკოვის სახანოს მოლოხმა... — და კიდევ რამდენი სისხლის დაღვრა დაგვჭირდება განთავისუფლების მოსაპოვებლად. ვხედავთ, ბატონებო, რომ ზოგჯერ სისხლის დასაზოგავად აუცილებელია მოკლე და მარჯვე კვეთება. ეს ქირურგიული მომენტია კა-

ცობრიობის არსებობისა! დეე, ეს იმათ კისერზე იყოს, ვინც ასეთი ცობრიობები შექმნა კაცობრიობის არსებობისა, მაგრამ ჩვენ ეს მუდამ მხედველობაში უნდა გვქონოდა. რომ ეს ხშირად ერთად ერთი გამოსავალია, ამის მაგალითსაც ძლიერ ბევრს იძლევა ისტორია და საუბედუროდ ერთხელ კიდევ ძლიერ სხარტად ჩვენ ზურგზე აღინიშნა ეს.

ვხედავთ, ბატონებო, რომ რუსეთთან ომი აუცილებელია. ვხედავთ, რომ რუსეთი ამიერკავკასიაში ფეხის შემოდგმის დღიდანვე სისტემატიურად იკავებს პოზიციებს ჩვენ საკვეთებლად; ვხედავთ, რომ ეს ომი ჩვენთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იქნება: გვქონდა ისედაც უკვე ჩადენილი შეცდომები; უკვე ბევრი დრო და ხელსაყრელი გარემოება გვქონდა დაკარგული; იქნებ ამ ომში მაინც მოგვეხერხებია მთელი ჩვენი არსების ჩაქსოვა, რომ მტერს საქართველოს მთელი მკერდის სიფართით ვკვეთებოყავით და ყოველი მებრძოლი ხმალი ერის საბედისწერო სასწორზე გამოგვეყენებია.

არ შევხვები ომის მოახლოების საიდუმლო ნიშნებსა და ცნობებს; სრულიად საკმარისია ის, რაც მთელმა საზოგადოებამ იცის.

უკვე ვიცი, ბატონებო, რუსეთის ელჩის კიროვის პირველი ნაბიჯი საქართველოში ჩამოსვლის პირველსავე დღეს; ვიცი, რომ ზავის პირობების ძალით რუსეთს არა ჰქონდა უფლება ამიერკავკასიაში ძალები გაეძლიერებია და ისინი აწერბეიჯანის საზღვრებისაკენ გადაეჯგუფებია და ყველამ ვიცი, რომ ამ პირობებმა არ შეუშალა მას ხელი სომხეთის დაპყრობაში; ვიცი ყველამ, რომ ომის მოახლოების ნიშნების ამ კრებულს, ომის დაწყების ექვსიოდე კვირის წინ, კიდევ დაერთო ზედ მრავალმეტყველი ფაქტი ჩვენი ნავთის ცისტერნების რუსეთში განწესებისა და მათი დაბრუნების შეუძლებელობა, მიუხედავთ საქართველოს ყოველგვარ პროტესტებისა, მაშინ, როდესაც ბაქო—ტფილისის ნავთსადენი გამოუყენებელი იდგა. (*)

მიუხედავ თ ყველა ამ ნიშანისა, ომი ახლა სრულიად მიულოდნელად გვატყდება თავზე, როგორც პოლიტიკურად, ისე ტექნიკურად.

(*) ეს ნავთსადენი აწერბეიჯანის დამოუკიდებლობის დროს აღდგენილი იქნა და მუშაობდა. საქართველო—რუსეთის პირველ ომში მხოლოდ ფოილოს ხიდთან იქნა იგი დანგრეული, რაც აღდგენილ იქნა ხიდთან ერთად.

კი! პოლიტიკური მდგომარეობა უმწეო იყო. კი! ომის მოგების მოთხოვნა თავიდანვე შეუძლებელი იყო, მაგრამ ბრძოლის ველი და ომის ბედი ძლიერ ხშირად შემთხვევანაა ხალხე დამოკიდებული. წინ გვედგა მოწინააღმდეგე, რომლის სამოქალაქო წყობილებაც ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული, რომლის ზურგშიც ადვილი მოსალოდნელი იყო რაიმე ამბოხების აღმოხეტქვა ამიერ თუ ჩრდილო კავკასიაში, რომელთა მსვლელობისათვის, ჩვენთვის სრულიად მისაღწევ ომის სიმწვავეს შეიძლება სულ სხვა სახე მიეცა. ამას ურყევლად ამტკიცებს რუსეთ—საქართველოს ომის დროს მომხდარი კრონშტადტის და სომხეთის აჯანყება. ვხედავთ, ბატონებო, რომ უკიდურეს განწირვის ყამს, თუმც ჩვენგან დამოუკიდებელ შემთხვევათა წყალობით, მაგრამ მაინც, შესაძლებელი იყო ომის მოგება (*). საჭირო იყო მხოლოდ ერთი, მხოლოდ ერთი: — რომ ამ უკანასკნელ სიკვდილ-სიცოცხლის ომში მაინც ყოფილიყო ამუშავებული მთელის შემძლებლობით ერის სამხედრო მანქანა, მისი საბრძოლო ვარგისობა!

ბატონებო! მთელი ამიერკავკასია ხაჩმაზიდან ფოილომდე და წითელ ხიდამდე ხომ პოლიტიკური ჭიდილის სარბიელი იყო? — იმ ჭიდილის, რომელშიც, ვხედავთ, დავმარცხდით. ხომ ვხედავთ, რომ ლენინის რუსეთმა იდეალური სახით მიიყვანა უკანასკნელ შესაძლებელ წერტილამდე დიპლომატიური ბრძოლა ამიერკავკასიის დაპყრობისათვის და მის დასადასტურებლად მხოლოდ მარსის ბრგვინვა და სჭიროდა.

დგე, საქართველოს სახელითა() ფოილოდან ნარიყალამდე მაინც ელაპარაკა მარსს! ჩვენმა მოწინააღმდეგემ ეს საკითხი ხომ მახვილის სიმწვავეზე დააყენა? ჩვენ რალად ვერიდებოდით ამას? ჩვენ თვითონ განწირულნი ვილას ვზოგავდით? რათ ვბორკავდით სამხედრო მოქმედებებს პოლიტიკური მოსაზრებებით, როდესაც ტფილისის უკანასკნელნი საფარნი უკვე კოშჩის შვილებს ეკავათ?.

(*) ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, რომ ომის ბედის სასწაულზე დამოკიდება თავის თავად მის ყოვლად მოუმზადებლობას ნიშნავს.

თერთმეტ თებერვალს ღამით ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად ბორჩალოს მაზრაში სამხედრო მოქმედებები დაიწყო: — რუსეთის რევოლუციურულმა ნაწილებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი. ხელახლად დაისვა საკითხი: ომია ეს თუ აჯანყება.

ბატონებო! ეს გამოცდილება უკვე გვქონდა მოპოებული საკუთარი სისხლის ფასით; ამ საკითხის გამორკვევამ ამავე ბორჩალოს მაზრაში უკვე მოგვიძღვნა ერთი ომის წაგება და ღამის მთელი ჩვენი არსებობაც კი არ იმსხვერპლა! მგონი, ერთი წაგებული ომი საკმარისია ერთი თაობის გამოცდილების მოსაპოებლად.

უკვე ჩვენი შეიარაღებული ძალების საგრძნობი ნაწილი ისობა რუსების რევოლუციურულ ნაწილებთან ბრძოლაში; უკვე ჩვენი ტერიტორიის ნაწილი მოწინააღმდეგის ხელშია. ირკვევა, რომ ომია, მაგრამ არა მარტო სომხეთთან. უკვე მთელი ბორჩალოს მაზრა დაკავებულია რუსეთის ჯარის მიერ, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი საინტერესო საკითხი: რა პოზიციას დაიკავებს ამ ომში აზერბეიჯანი? უკვე რუსეთის ჯარი ლახავს საქართველო—აზერბეიჯანის საზღვარს; ჩვენი ჯარის უმეტესი ნაწილი უკვე მოსპობილია რუსეთის რევოლუციურულ ნაწილებთან ბრძოლაში, სატახტო ქალაქი უკვე ბრძოლის სფეროშია, მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, განუწყვეტელი ცდის მიუხედავად, ჯერ ვერ გამოუტყვევია: — რა პოზიციას დაიკავებს რუსეთი ამ შეიარაღებულ კონფლიქტში!

ბრძოლა უკვე შავსოფელში და ძალების უბანში სწარმოებს, ტფილისი უშუალოდ ბრძოლის ველზე სდგას და მის ქალაქი ფაფარში აღამაჰმად ხანის აქეთ პირველად ბზუიან ფოლადის კრაზანებით, განგება უშლიდა მას ჩვენი თაობის მოხრილ ქედზე მურვან ყრუის, თემურ ლანგისა და შაჰ აბაზის შავ დღეთა ფურცლებს. აქ აცხადებს საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა ომს რუსეთთან და მობილიზაციას. აქ, მხოლოდ აქ!

როდესაც სატახტო ქალაქი უშუალო ტენიკურ განსაცდელშია, როდესაც საქართველოს შეიარაღებული ძალების სამი მეოთხედი უკვე მოსპობილია, ცხადდება ომი! აქ, მხოლოდ აქ, როდესაც სახელმწიფოებრივი აპარატის მძლავრი შერხევის გამო ტენიკურად უკვე შეუძლებელია მობილიზაციის გატარება — ცხადდება მობილიზაცია! მდგომარეობის აქამდე მისვლამდე მოქმედებდა ჩვენი დიპლომატია, რომლის მოქმედებაც ზარბაზნების გრიალში მხედრობის მუშაობის გამაადვილებელ გარემოებას არ წარმოადგენდა!

ამ ექსპერიმენტის გაკეთებას ვერ გაბედავს დღეს ვერც ერთი მილიტარული ძალა დედამიწის ზურგზე, მიუხედავად იმისა, რომ ერთი ხელის გაქნევით შეუძლიათ აამუშაონ მეხების მფრქვევი ფოლადის კუნძულები და მილიონიანი ლაშქრის მობილიზაცია თვითნებულ წუთამდე შემუშავებული აქვთ.

რის გაკეთება მოახერხა ამის შემდეგ სამხედრო ხელმძღვანელობამ? ამაზე ლაპარაკს დღეს მნიშვნელობა არ აქვს. დანარჩენის ამოკითხვა შეიძლება ყოველი ქართველის სევდით დაღარულ შუბლიდან.

ვხედავთ, ბატონებო, რომ ბუნებამ თავისი უცვლელი წესით გაატარა ჩვენი ცხოვრების ისტორიული მოვლენანი და მიუხედავად იმისა, სწამდა თუ არა ქართულ საზოგადოებას თავისი მხედრობა, ჰქონდა თუ არა ქაროულ მხედრობას დამსახურებული ამისი სათანადო ავტორიტეტი, ქართლის ტრადიციის უკანასკნელი აკორდი განგებამ მხედრობის მკერდზე ააქვითინა. აი, ამ წუთისთვისაა, რომ დედამიწის ზურგზე პირველი პოლიტიკური ქმნილების ჩამოყალიბების პირველიდან უკანასკნელ დღემდე ყოველი ერი ყოველ საშუალებას ხმარობს, შინ და გარედ, თავისი მხედრობის დიდების შარავანდის შესაქმნელად. იმერს, რომელსაც ბრძოლის წარმოებაში თავის მხედრობის ღირსებაზე ეჭვი შეჰპარვია, ჯერ ისტორიაში ომი არ მოუვია; და იქ, სადაც მხედრობას საკუთარ ერში საპატიო ალავი ვერ დაუმსახურებია, მას ვერავითარი გარეშე მტრისათვის თავისი ერის მოთხოვნილებანი ვერ უკარნახებია. აი, ამიტომაა, რომ იქ, სადაც მხედრობა თვითონ ვერ ახერხებს ამ ავტორიტეტის შექმნას, პოლიტიკური ხელმძღვანელობა ყოველივე ბუნებრივ და ხელოვნურ საშუალებას მიმართავს ამის მისაღწევად.

რამ მიგვიყვანა აქამდე?

დღეს ძლიერ ბევრს ექნება სურვილი თითი გაიშვიროს მაშინდელ მართველი ჯგუფისაკენ. ჩვენ არ შეგვიძლია დღეს გამოვეკიდოთ აისიმეს გამართლებას ან ბრალდებას. დღეს ჩვენი მოვალეობაა გადავხედოთ და მიუდგომლად შევაფასოთ მაშინდელი გარემოება. თუ მოვახერხებთ მდგომარეობის გადახედვას საერთო სიმაღლიდან და შევქმნით მთლიან და მიუდგომელ სურათს, იგი შემდეგნაირად გამოიყურება: —

ძირითად განსხვავებას ჩვენ პოლიტიკურ პარტიათა იდეოლოგიაში მაშინ მხოლოდ საშინაო პოლიტიკა წარმოადგენდა. როგორ გამოიყურებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წარმოების ხანაში ჩვენი საშინაო მდგომარეობა? მთელი ეს საკითხი იმ უამად მხოლოდ ორი საგნით ამოიწურებოდა: მრეწველობითა და გამოკვებით.

რაც შეეხება გამოკვებას, — როგორც იყო სულ ერთია, — ქართველთა შიშობილი არ დაღუპა.

რაც შეეხება მრეწველობას, — მთელი საქართველოს მრეწველობა განიხორციელებოდა ექვსი დაბახანით, ორი ათასი წისვილით, ადელხანოვისა და მთავარ სარკინიგზო ქარხნებით. რა გინდ იდეალური არ ყოფილიყო ხელმძღვანელი ჯგუფის საშინაო პოლიტიკა და ეს მრეწველობა ორასიოდე პროცენტით აეწია მაღლა, რა გინდ ცუდი არ ყოფილიყო იგი და ეს მრეწველობა ოთხმოცი პროცენტით დაეცა დაბლა, — სულერთია, ეს ჩვენი მრეწველობა იმ სამი წლის განმავლობაში ჩვენს საგარეო პოლიტიკაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოიპოვებდა. რასაკვირველია, ეს თავის თავად უდიდესი საკითხი იყო. მაგრამ ეს მომავალი ათეულო წლების საკითხს წარმოადგენდა. საქართველოს არსებობის საკითხი მხოლოდ და მხოლოდ საგარეო პოლიტიკის საიდუმლოება იყო. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, იმ საკითხს, რომელმაც საქართველოს არსებობა გადაიტანა, როგორც უკვე განვიხილეთ, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შორის არავითარი განსხვავება არ იყო.

დღეს ყველა აქ შეკრებილი ქართველნი, პატრიოტები არიან და ყველას სტრევა გული საქართველოსათვის; უნდა გამოვიჩინოთ სათანადო ნებისყოფა, რომ მოვიპოოთ დღეს უდიდესი გამარჯვება, რომლის მოპოვებაც კი შესაძლებელია ჩვენს მდგომარეობაში: — უნდა შევიგნოთ ჩვენი დაღუპვის ნამდვილი მიზეზი.

როგორც ვნახეთ, ბატონებო, არც ერთი პოლიტიკური ჯგუფის, არც ერთი პოლიტიკური ერთეულის შეგნება არ გადასცილდა საქართველოს საზღვრებს; ვერც ერთი მათგანი ვერ ხედავდა საქართველოს ინტერესებს ბეზობდალისა და ყაზახის მაზრის იქით. ჩვენი ბედო, კი იქ, იმ ზღუდეთა მოშორებით გადაწყდა. უნდა აშკარად აღვნიშნოთ, რომ არც ერთი ჩვენი პოლიტიკური ჯგუფი და არც ერთი პოლიტიკური პიროვნება არ იდგა სახელმწიფოებრივი შეგნების სიმალლეზე; არც ერთს მათგანს არა ჰქონდა სათანადო კორიზონტი და ჯანი სახელმწიფოებრივი მუშაობის გასაძლოლად. საქართველოს მომავალი რომ არ გვწამდეს დღეს ჩვენ ამ საკითხს არ შევეხებოდით და ძველ იარათა ტკივილს მოვერიდებოდით. ჩვენ გვრწამს საქართველოს მომავალი და ეს მრწამსი გვიკარნახებს წარსულს ღიად და გაბედულად შევეხებოთ და გვაძლევს უფლებას ძლიერ ხშირად, თუმცა გულის ტკივილით, მაგრამ ნათლად ფაქტები აღვნიშნოთ. უნდა შევძლოთ ამ ტკივილების ატანა საქართველოს მომავალის გულისათვის...

ეს არ არის არავისი ბრალდება ეს არ არის არავისი გამართლება; ეს არის მხოლოდ ფაქტების აღნიშვნა: — არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს არ ჰქონდა გამომუშავებული ერის საგარეო მოქმედების ხაზი. ეს სულერთია, რომლის ხელშიც კი არ ყოფილიყო ერის სახე, ეს ხაზი იქნებოდა შემთხვევითი და უსისტემო ნახტომთა რიგი მოვლენიდან მოვლენამდე. და თუ ამგვარ მოქმედებებს მძლავრი და ძლიერი სახელმწიფოები მიჰყავდა დაღუპვამდე, როგორ გადაურჩებოდა მას ჩვენი ახალი და ჩამოუყალიბებელი რესპუბლიკა.

რა სიმაღლეზე იდგა პოლიტიკური ხელმძღვანელობის მეორე იარაღი, მისი სამხედრო ხელმძღვანელობა? მთელი სამი წლის განმავლობაში. ჩვენ შეიარაღებულ ძალთა მოქმედების სარბიელი ისეთ ჩარჩოებში იყო ჩაყენებული, რომ არც ერთი მისი უშუალო ამოცანა არ ყოფილა პოლიტიკური განზომის სიმაღლეზე. თვით უკანასკნელ ომშიც მისი მოქმედების ბედი, როგორც ვნახეთ, წინდაწინვე პოლიტიკური ელემენტების მიერ იქმნა გადაწყვეტილი. მთელ ამ ხანაში ერთადერთი საქართველო-სომხეთის ომის უკანასკნელი ბრძოლა განიხარდა პოლიტიკური მნიშვნელობის სიმაღლემდე და ისიც კი პოლიტიკურად გამოუყენებელი დარჩა. ამის შემდეგ მას არც ერთი შემთხვევა არ ჰქონია თავის მოქმედებათა ერის პოლიტიკურ მნიშვნელობის ჩარჩოებში წარმოებისა; ისე, რომ მისი ნამდვილი წონა და ღირსება არ ყოფილა გამოყენებული ერის არსებობის საკითხის გადაწყვეტაში. ალბად, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ ჰქონდა მისი იმედი და არ სწამდა იგი. ისე თუ შევუდგებით მისი ნამდვილი ღირსების შეფასებას, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სამხედრო ხელმძღვანელობა თავისი განათლებისა და მომზადების მხრივ შეუდარებლივ მაღლა იდგა ყველა იმ მოწინააღმდეგესთან შედარებით, რომელთანაც მას მოელოდა ბრძოლა ჩვენი დამოუკიდებლობის ხანაში. გადაწყვეტით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იგი ამ მხრივ იდგა თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. მაგრამ დღეს, მხედრობის მუშაობის სარბიელი არ განისაზღვრება მარტო ყაზარმებისა და შტაბების კედლებით. მეოცე საუკუნემ ყველა ერის მხედრობას კიდევ სხვა ამოცანა დაუსვა ჯერ ისევ საერთაშორისო ომის დროს. გადასწყვიტა თუ არა გერმანელთა მთავარმა შტაბმა 1917 წელს ნაწილობრივი უკანდახევა ზიგფრიდის ხაზზე, დაიწყო მან პრესისა და საერთო პროპაგანდის საშუალებით ამისათვის საზოგადოების აზრის სათანადო მომზადება, რომ ეს იქნება ფრონტის შემოკლება და ოცნოვნების გამოყენება და არა ბრძოლის წაგება. დღეს თუ რომელიმე ერი ომის წარმოების მსვლელობაში მოელის თავის რომელიმე პროვინციის დროებითი დაკარგვას, საზოგა-

დღეების შეგნებას თავიდანვე ამისათვის ამზადებს. წინააღმდეგ შემთხვევაში თვით ომის წარმოების დროს საზოგადოება ნერვიულობას იჩენს და ჰკარგავს რწმენას სამხედრო ხელმძღვანელობისადმი. მაშინ სამხედრო ხელმძღვანელობა ერის წინამძღოლობის მაგიერ თითონ ხვდება ქუჩის უშუალო გავლენაში და ომს მაშინ ქუჩა ათავებს. ჩვენ ვიყავით ამის მოწმე. ჩვენმა ქუჩამ ომი ფაქტიურად მცხეთაში გაათავა, თუმცა სამხედრო ხელმძღვანელობას განზრახვა ჰქონდა იგი ტფილისის დასავლეთითაც ეწარმოებია და იბრძოდა შავ ზღვამდე. ჩვენ მხედრობას უნდა შეეტანა ერში იმის შეგნება, რომ საქართველოს დაცვისათვის ბრძოლა იწარმოებს საქართველოს გარედ, — ეს არ არის იმპერიალიზმი. მას უნდა შეეტანა შეგნება თითოეული ქართველის მსოფლმხედველობაში, რომ ტფილისისათვის ბრძოლის წარმოება უკეთესია დარუბანდთან, ხაჩმაზთან და ყარსთან, ვიდრე შავსოფელში და ძაღლისუბანში. ყოველ ქართველს უნდა სცოდნოდა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მეზობელთა პოლიტიკურ თვალთმატობასთან თამაში და მობილიზაციის დაგვიანება, ვინაიდან ჩვენი სატანტო ქალაქი საზღვრიდან ერთ გადასავალზე იმყოფება და ჩვენს მოწინააღმდეგეთ რიცხობრივად ჩვენზე დიდი უპირატესობა აქვთ. (*) ეს შეგნება არამცთუ ფართო მასსაში, თვით მმართველ ჯგუფშიაც კი ვერ იქნა შეტანილი. აი, ეს უშუალო გზა ქართული საზოგადოების გულამდე ჩვენმა მხედრობამ ვერ მოიპოვა და თავისი გამოცდის მეორე ნაწილი ვერ ჩააბარა მან ისტორიას.

ეს არ არის მარტო მხედრობის მოვალეობა, ეს ურთიერთის გაცნობისა და დაასლოვების მოვალეობაა და თანაბრად აწევს კისერზე, როგორც მხედრობას, ისე პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ეს არის საქმე, რომლის დაწყება შეიძლება და სავალდებულოა დღესვე, ამ უარბაზის კედლებიდანვე.

რაც შეეხება ნამდვილ მდგომარეობას... მე ვთხოვ განგებას, რომ ეს მოხსენება ჩვენი ძველი ანგარიშების გასწორების სურვილით გატაცებულ საზოგადოებაში არ იქნეს უკანასკნელი.

შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ ამ საკითხების აღძრა დღეს უდროთა, და შეიძლება ამან გამოიწვიოს არა სასურველი პოლემიკა და კინკლაობა ისედაც აწეწილ ქართულ საზოგადოებაში. აღნიშნული დებულებანი წარმოადგენენ ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში პრაქტიკულად განსახორციელებელ სამხედრო პრინციპების კრებულს.

(*) ნაგულისხმევი არიან არა კავკასიელი მეზობელნი.



როგორც ვხედავთ, ბუნების მოთხოვნილებანი მათ თანაბრად სავალდებულოდ ჰხდინან ყოველი პოლიტიკური პარტიისათვის, მათი იდეოლოგიის განურჩევლად, როგორც ვხედავთ, საქართველოსი და საერთოდ მსოფლიოს ისტორიიდან- თუ ამ დებულებებს კარგად არ იცნობენ, მათ დამრღვევ შეცდომათა ცოდვებს ყოველი პოლიტიკური პარტია თანაბრად იდენს, თეორიული იდეოლოგიის განურჩევლად. მაშ, ერთხელ როდისმე ეს შეგნება უნდა იქნეს შეტანილი მხედრობის მიერ ქართულ საზოგადოებაში. საჭიროა, რომ ყოველმა პიროვნებამ, რომელსაც კი პოლიტიკურ სარბიელზე მუშაობის სურვილი აქვს, ეს დებულებანი კარგად განიკვეთოს. და თუ ჩვენი საზოგადოება დგას ეხლა მაინც თავისი დანიშნულების სიმაღლეზე ამ შემთხვევას სიჩუმით მიიღებს მხედველობაში და გამოიყენებს მომავლისათვის; მაგრამ თუ ეხლაც ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე, ამას მოჰყვება ჩვენებური კინკლაობა და ამ დებულებათა ვისიმეს ბრალსადებ და ან გასამართლებელ დაბალხარისხიანი მოსაზრებით გადაბრუნ-გადმობრუნება.

მაშ როგორი უნდა იქნეს ჩვენი მომავალი მოქმედების ხაზი ჩვენი წარსულის გამოცდილებათა მიხედვით? ამას ისტორია ნათლად გვიჩვენებს.

დაუპყრია თუ არა რომელიმე უცხო ერს ამიერკავკასიის ნიადაგის თუგინდ ერთი ტერფი ამის შემდეგ იგი მთელ კავკასიას იპყრობდა. ასე იყო არაბების შემოსავის დროს, მონღოლების შემოსევის დროს, რუსების პირველი და მეორე შემოსევის დროს.

იპყრობდა თუ არა ამიერკავკასიის ერთ ტერფ ნიადაგს რომელიმე უცხო ერი, თუ გინდ მას არ შესძლებოდა მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა, სულ ერთია, ამიერკავკასიის ყველა ერი ჰკარგავდა დამოუკიდებლობას და კავკასია ხდებოდა ორ მოქიშვე მეზობელ შორის ბრძოლის სარბიელად. ასე იყო სპარსეთის მეტოქეობის დროს; ასე იყო ბიზანტია—სპარსეთის მეტოქეობის დროს; ასე იყო სპარსეთ—ოსმალეთის მეტოქეობის დროს. ეს უცვლელად ასევე იქნება ჩვენ მომავალშიაც. ეს არის ბუნება ერთ მთლიან გეოგრაფიულ ერთეულისა: — ან მთლიანად თავისუფალია, ან მთელი, როგორც ერთეული, ჰკარგავს თავისუფლებას. ასეთი კუთხეები სხვებიც მოიპოვებინან მსოფლიოში.

თითოულ კავკასიელ პოლიტიკურმა მოღვაწემ უნდა შეიგნოს, რომ ყოველი კავკასიელისათვის მთელი გეგმა საგარეო პოლიტიკისა შემდეგი სიტყვებით უნდა ამოიწურებოდეს: — არც ერთ უცხო სახელმწიფოს არც ერთი ტერფი კავკასიის ტერიტორიისა!, წინააღმდეგ შემთხვევაში კავკასიელ ერთა არსებობა მხოლოდ ფიქციაა.

დღეს რომ სომეხ--ქართველთა ბრძოლა ტფილისის ქუჩებში სწორმოდეს და სომხეთს დაესხეს თავზე ოსმალეთი, ჩვენ მაინც სომხეთს უნდა მივეშველოთ. დღეს რომ საქართველო--აზერბეიჯანის ფრონტი ლიხის მთაზე გადიოდეს და აზერბეიჯანს დაესხეს თავზე რუსეთი, ჩვენ მაინც აზერბეიჯანს უნდა მივეშველოთ. ეს უნდა შეგინდოს ყველა კავკასიელმა ერმა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ ტფილისის მოგერიება და მისთვის ბრძოლა უნდა გაწარმოოთ დარუბანდთან, ხაჩმაზთან, ყარსთან და არა სოღანლუღში და ნატოლუღში.

კი! შეიძლება ამიერკავკასიის მოკლე დამოუკიდებელი არსებობის ხანამ რომელიმე თვალ-მოკლე პოლიტიკოსს ყალბი შთაბეჭდილება შეუქმნა და საერთო მიზანთა შეგნება მიიჩნია. საბედნიეროდ ეს ასე არ არის. თუ ეს ასე მოხდა დამოუკიდებლობის პირველ დღეებშივე, როდესაც ყოველ კავკასიელ ერს აკლდა სახელმწიფოებრივ სიძალეზე მდგომი პოლიტიკური კადრები, ეს საკითხს სამუდამოდ არა სწყვეტს. როდესაც კი კავკასია ყოფილა ნამდვილად დამოუკიდებელი და არავითარ გარეშე გავლენას არ ჰქონია ადგილი, კავკასიელ ერებს მუდამ ჰქონიათ საერთო ენა. ამას ისტორია გვიჩვენებს.

გარეშე ძალების დიდი გავლენის მიუხედავად, დამოუკიდებლობის ხანაში ერთი მოვლენა აშკარად განმსჯევეს წიელ ვითარებაში: —

კავკასიის დამოუკიდებლობა დაანგრია ორმა მტერმა: რუსეთმა და ოსმალეთმა. ამ ორივე მტერს ებრძოდა თითქმის მთელი კავკასია.

რუსეთს ებრძოდა მთა, ებრძოდა აზერბეიჯანი, ებრძოდა სომხეთი, ვებრძოდით ჩვენ დამოუკიდებელი არსებობის ხანაში და მის შემდეგ.

ოსმალეთს ებრძოდა სომხეთი, ვებრძოდით ჩვენ და მას შეებრძოლებოდნენ აზერბეიჯანი და მთა, თუ კი ოსმალეთის დამპყრობი ზვირთები იქამდეც მიაღწევდა. ასეთი მოვლენა ახსოვს კავკასიის ისტორიას და ეს არ იქნებოდა პირველი მაგალითი.

გხედავთ, ბატონებო, რომ ამ ბრძოლას კავკასიის არსებობისათვის აწარმოებდა მთელი კავკასიონი. უბედურება იყო ის, რომ მთელი ეს ღვაწლი გაბნეული იქმნა დროში და სივრცეში; მთელი ეს სისხლი გაფლანგული იქმნა ნაწილობრივ და მან შედეგი ვერ მოიტანა. საერთო მტერმა ჩვენ ცალცალკე ბრძოლებში დაგვამარცხა და ნაწილ-ნაწილ დაიპყრო კავკასია.

დღეს ყოველ კავკასიელს გულისტკივალთ შეუძლია დაინახოს და აღიაროს, რომ ის ღვაწლი და სისხლი, რომელიც მთელმა კავკასიამ

დანთხია, ერთდროულად რომ გაგველო, ერთ თმში და არანაწილობრივ იმ მტერს, რომელიც დღეს ზეიმობს, არ ე ნებოდა ჩვენი დაპყრობის სათანადო ძალა. ჩვენი შეერთებული ძალები და საომარი ვარგისობა აშკარად აღემატებოდა ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის ხანის მოწინააღმდეგეებს ეს იყო თავის ყოველ ფრონტზე მებრძოლი მოხალისეთა ლაშქარი, დასავლეთის ფრონტზე სასტიკად დამარცხებული და ჩამოუყალიბებელი ბოლშევიკების ლაშქარი და ქემალის ახლად შებლანდული პოლიტიკური ქმნილების პირველი გაუბედავი, საცდელად გადაღებული ნაბიჯი.

აი ვინ მოგვიღო ბოლო! დიახ, გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ გვქონდა უფრო მეტი ძალა, რომ გავიღეთ უფრო მეტი სისხლი და ღვაწლი, ვიდრე ეს იყო სამყოფი ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის შესარჩენად. და დაგვამარცხა მოწინააღმდეგემ უფრო ადვილად, ვინემ თვით მოელოდა და ვიდრე ეს შესაძლებელი იყო. ეს შეცდომა ყოველ კავკასიელს გვაწევს კისერზე, და ამას შეგნება ყველას გვეჭირდება ჩვენ ქართველთა მკერდში ეს შემდეგნაირად უნდა ბგეროდეს: ჩვენ ვერ მოვახერხეთ კავკასიის ბრძოლის გამოყენება, ვერ მივიღეთ მონაწილეობა ამ ბრძოლაში, როდესაც იგი სწარმოებდა დერბენდთან, მთავრიდეთ მის წარმოებას ხაჩმაზთან, ევლახთან, განჯახთან და კოშჩის შვილებთან ანგარიშის გასწორება მოგვიხდა ნავთლულში და ორთაქალაში!

ქემალთან ბრძოლაში ვერ მივიღეთ მონაწილეობა ყარსთან, ოლთისთან, სარაყამიშთან და ამიტომ მან ცერემონიული მარშით გაიარა ჩვენი არდაგანი, ჩვენი ართვინი და მასთან ბრძოლა მოგვიხდა აზიზის მოედანზე.

ასეთივე ანგარიში უნდა მოსთხოვოს ყველა კავკასიელმა ერმა თავის სინდისს, თავისი დამოუკიდებელი არსებობის ხანიდან.

კი! ძლიერ ბევრს წარსული მოვლენების ძლიერ ბევრი გასამართლებელი საბუთის დაგროვება შეუძლია, მაგრამ მათი გარჩევა არ უნდა იყოს დღეს ჩვენთვის საინტერესო; დღეს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ერთით: შიშველი ფაქტებით და მათი შედეგებით, რათა დავინახოთ ჩვენი მომავალი მოქმედების გზა, რომელიც ამ გადაბრუნებული ურმის შემდეგ საუცხოოდ უნდა სჩანდეს.

რაც შეეხება თვით მუიდრო მუშაობას მხედრობასთან, რომელიც, როგორც უკვე დავინახეთ, სრულებითაც არ იდგა მისაბამ სიმალეზე, თითოულმა ქართველმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს,



რომ კი, იყო დრო, როდესაც მხედრობა ერთ ჩაკეტილ კასტას წარმოადგენდა, მაგრამ დღეს მხედრობა ერის უშუალო ნაწილს წარმოადგენს; დღეს მხედრობის მუშაობა, როგორც უკვე აღნიშნულ იქნა, არ განისაზღვრება ყაზარმისა და შტაბის კედლებით. დღეს მხედარი ერის უბრალო მასწავლებელია, რომელიც ასწავლის მას თავდაცვის წარმოებას და რომელიც მიუძღვის მას ბრძოლის ველზე. თუ მისი მუშაობა ღიმილით არ იქნა ნამყენი ერის მკერდზე და თუ მთელი ერი შეგნებითა და სიამოვნებით არ აწარმოებს მასთან თანამუშაობას — მხედრობის მუშაობა ვერასოდეს ნაყოფს ვერ მოიტანს. ყოველმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უნდა იცოდეს, რომ, რაგინდ სუსტი და უეარგისი არ ჰყავდეს მას მხედრობა, ერის ბედის გადაწყვეტა ყველაზე უაღრესი საფრთხეს წუთებში მაინც საკვებით ამ მხედრობის ხელში იქნება; ამიტომ მთელი თავისი შეგნებითა და ძალით უნდა იმუშაოს მან ამ მხედრობის მაღლა ასაწევად და ერის თვალში მისი ნდობის მტკიცე საფუძველზე დასყენებლად. მხედრობის ვარგისობა პირდაპირაა დამოკიდებული პოლიტიკური ხელმძღვანელობის ვარგისობაზე და ვაი იმ ერს და იმ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რომელიც ვერ მოახერხებს ისეთი მხედრობის შექმნას, რომლის მკერდსაც, ეამსა გაქვივრებისას, ვერ ამოეფარება დამშვიდებული გულით და რომლის ვარგისობაში თითონვე შეეპარება ეჭვი. მაშინ იწყება მტრის ზარბაზნების ყბების პოლიტიკური ძონძებით და ერის უფლებათა ნაწილებით ამოქოლვა.

ქართული მხედრობის მაღალ დონეზე დაყენება რომ ძლიერ ადვილია, ამ რწმენის ურყევ ნიადაგს იძლევა ჩვენი ერის მრავალ საუკუნოებრივი სამხედრო ტრადიცია, დაღვრილი ზღვა სისხლი ჩვენი მხედრობისა და მისი სათანადო განათლება.

რაც შეეხება საგარეო საკითხის მხედრობის ხელში გადასვლის მომენტს, ჩვენთვის ეს ამოცანა ძლიერ ადვილი იქნება მომავალში, ვინაიდან ჩვენი წარსული ნათლად გვაკვეთავს კავკასიონის ბუმბერაზ მკერდის ძველი ჭრილობებით იმ მომენტს, როდემდინაც შეგვიძლია ლაპარაკი მტერთან იარაღით ფეხთან და როდის უნდა ჩამოიშოს წარბებზე მუხარადი შეერთებულმა კავკასიონმა. ამისათვის საჭიროა ცნობა და შეგნება ჩვენი სამშობლოსი, მისი ცნობა ინდივიდუალური, ცნობა ყველა მისი განსაკუთრებული თვისებისა.

ვხედავთ, ბატონებო, რომ საანდაზოდ ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, ჩვენი დამოუკიდებლობა ჩვენ მაინც ვერ შევირჩინეთ და წარსული გვაქვს ისეთი, როგორც დავიმსახურეთ ჩვენი მოუშხადებლო-

ბით. თუ წარსულის ყველა გადამწყვეტ მოვლენებს შევისწავლით, დინჯი გულით შეგვიქლია შევხედოთ ჩვენს მომავალს, ვინაიდან იქნება იგი ისეთი, როგორსაც დავიმსახურებთ, როგორც აღნიშნა საფრანგეთის დიდმა შვილმა კლემანსომ:

ეს არ არის არავისი ბრალდება, ეს არ არის არავისი გამართლება. ეს არის ჯამი იმ თაობის მუშაობისა, რომელიც ჯერ კიდევ დღეს სავსეა სასიცოცხლო ენერგიით და სდგას ერის საქესთან.

ეს არის ჯამი, შედგენილი იმ თაობის მიერ, რომელსაც თავის ახალგაზდობის გამო ერის ცხოვრებაზე გალენის მოპოების საშუალება არა ჰქონდა, მაგრამ დღეს მთელი სიმწარით უშუალოდ განიცდის თავისი მოწინავე თაობის მუშაობის შედეგებს.

ვ . ნ ა — ლ ი

ო მ ის მ ს ხ ვ ი ა კ ვ ლ ი დ ა ე რ ის ზ რ დ ა

წერილი მეორე:

ე რ ის გ ა მ რ ა ვ ლ ე ბ ის ა თ ვ ის

(ისტორიული მიმოხილვა)

პირველ წერილში აღნიშნეთ, რომ ერის ზარალი ომის დროს არა მარტო ბრძოლის ველზე დაღუპულთა რიცხვით გამოიხატება, არამედ ომთან დაკავშირებით მცირდება ქორწინებათა რიცხვი, დაბადებათა ნორმალური ქვოტა, სამაგიეროდ იზრდება სიკვდილიანობა სხვადასხვა გაჭირვებისა და შთარულ სენთა გამო. მაგალითით დავინახეთ რომ უკანასკნელი დიდი ომის განმავლობაში, საერთოდ გარდაცვლილთა რიცხვი და ომის წყალობით ერის ნორმალური ზრდის შეფერხებით მომხდარი ზიანი მთლიანად, ბრძოლის ველზე დაღუპულთა რიცხვს პირდა-

პირ სპარბობს. ეს დებულება შეიძლება ურყევ მოვლენად ჩაითვალოს მთელი ისტორიის მანძილზე. — მართალია, ამისი დასადასტურებელი სტატისტიკური მასალა არ არსებობს, მაგრამ თუ ისტორიის გადავლევთ თვალს, დავინახავთ, რომ ნეომარი სახელწოდანი განსაკუთრებულ ზომებს მიმართავდნენ ომის ნიერ მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად, შემცირებული მოსახლეობის, რიცხვის ასანახლავრებლად და მის გასაზრდელად.

მაგალითისათვის თუ ავიღებთ ისეთ ტიპიურ მეომარ სახელწოდებას, როგორც იყო ძველი საბერძნეთის სპარტა, — დავინახავთ, რომ იმ ქვეყანაში მთელი განსაკუთრებული კანონმდებლობა არსებობდა, და მას მიზნად ჰქონდა დასახული; — ვაჟთა რიცხვის ხელოვნური ზრდა!

ხშირბა ომებმა სპარტას მოსახლეობა ძალიან შეამცირა და კანონისმდებელმა მიმართა მოალექეს ბრძანებითა და დავალებით: — სახელმწიფოსათვის ვაჟები შეექმნა. ამგვარად, კანონის ძალით, ცოლქმრობა სახელმწიფოს ემსახურებოდა.

ოჯახი, ეხლანდელი გაგებით, სპარტაში არ არსებობდა, — ოჯახი იყო იქ უფლებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტი, მოვალეობად ჰქონდა დაკისრებული სახელმწიფოსათვის ვაჟების მიცემა. ამ მიზნის განსახორცილებლად, მაგალითად, გამოცემული იყო კანონი, რომლის ძალით თითოეულ სპარტელს ქალი უნდა შეერთო, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის წინაშე იგი უპერატესობასა და პრივილეგიებს ჰკარგავდა.

სპარტას კანონი განსაზღვრავდა, თუ მამაკაცს როდის უნდა შეერთო ქალი და ეს უკანასკნელი როდის უნდა გათხოვებულიყო. — მრავალშვილიან ოჯახებს ჯილდო მოელოდა.

არსებობდა აგრეთვე ერთი მეტად საგულისხმო ჩვეულება: — სპარტელი ქალები, წელიწადში ერთჯერ, მოაგროვებდნენ ხოლმე უცოლოებს (ხოლოსტიაკ). წაიყვანდნენ ტაძარში და საკუთხეელის წინ გასტყეპავდნენ ხოლმე მათ!

მრავალშვილიანობა იყო სახელმწიფოს წინაშე პირდაპირი სამსახური. თუ, მაგალითად, ხნიერ მამაკაცს ჰყავდა ახალგაზრდა ცოლი, ჩვეულებისამებრ, ქმარი მოუყვანდა ცოლს ახალგაზრდა «მეგობარს», რომლისაგანაც იგი ჯანსაღსა და მაგარი ბავშების შექმნას მოელოდა.

რომელიმე ახალგაზრდას, თავის მხრივ, შეეძლო რომელიმე ცოლიანისათვის ეთხოვა ცოლის დათმობა, აგრეთვე ვაჟის შექმნის გულისათვის.

ბავშები ოჯახს არ ეკუთვნოდნენ, არამედ სახელმწიფოს, რომელიც მათთვის ზრუნავდა.

ასევე იყო კუნძულ კრეტა-ზეც.

თუ დავბოდა ისეთი ხანა, ოდეს მოსახლეობის რიცხვი ჭარბად იქცეოდა, მაშინ მიმართავდნენ ხოლმე ემიგრაციას და სხვადასხვა მხარეში კოლონიებს აარსებდნენ.

რაც შეეხება მეორე ბერძნულ სახელმწიფოს — ათინას, სადაც პიროვნება უფრო თავისუფალი იყო, სპარტასებური ქორწინებრივი კანონმდებლობა აქ არ არსებულა, — მაგრამ იყო მაინც ერთი კანონი, რომელიც, ჩვენის აზრით, ნაწილობრივად მეურნული მოსაზრებითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული. კანონი ეხებოდა ოჯახს, რომელსაც მემკვიდრე ვაჟი არ გააჩნდა. მამას შეეძლო ვაჟის გაჩენის გულისათვის თავის ასულთან, საკუთარ ქალიშვილთან სარეცელი გაენაწილებია, და თუ იგი, მამა ამაზე უარს იტყვოდა ან შეუძლო იყო, მემკვიდრე ასულს უფლება ჰქონდა რომელიმე თავის ნათესავთან დაწოლილიყო. ვაჟი მემკვიდრის ყოლას კანონი სავალდებულოდ ხდიდა.

თუ მოსახლეობის ზრდისა და განვითარების საკითხი კანონმდებლობას ასე აინტერესებდა, გასაკვირველი არ არის, რომ ძველი აზროვნებაც მას შესაფერ კურადლებას აქცევდა.

ფილოსოფოსი პლატო თავის მოძღვრებაში იდეალური სახელმწიფოს შესახებ, ეხება აქ აღძრულ საკითხს და სვობს ოჯახს. იგი ქადაგებს ქალების ერთობას მამაკაცებისათვის. მხოლოდ მათ, ვინც საუკეთესო ჰასაკში არიან, აქვთ უფლება იყოლიონ ბავშვები. ქალები უნდა გათავსდნენ თქსკეტ — ოც წლამდე, ვაჟებმა უნდა შეირთონ ოცდაათ — ოცდახუთმეტ წლამდე, ამის გარეშე ქორწინება აკრძალული უნდა იყოსო. ამ ზომის განხორციელებას მისი შეხედულებით, თვით სახელმწიფო უნდა ადევნებდეს თვალყურსო.

ფილოსოფოსი არისტოტელი იმ აზრისაა, რომ თვით სახელმწიფო უნდა აკანონებდეს: თუ რა ჰასაკში და როდელ პირთა შორის შეიძლება ქორწინება მოხდესო. მისი აზრით, საქორწინო საზღვარი მამაკაცთათვის უნდა უდრიდეს — 70 წელს, დედაკაცთათვის კი — 50 წელს. საუკეთესო წლებად კი ითვლება ვაჟთათვის არა უმეტეს 37 წლისა და ასულთათვის არა ნაკლებ 18 წლისა. არისტოტელი ამ საკითხს კიდევ უფრო დაწკრილებით იხილავს და ამტკიცებს, რომ ქორწინებისათვის საუკეთესო დრო არის ზამთარი, ჩრდილო ქართა დრო, ვინემ სხვა, სამხრეთ ქართა დრო.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ყველა მოაღნიშნული საკანონმდებლო ზომა ეხებოდა მოქალაქეთ და არა მონებსა ან არათავისუფალ პირებს. მოქალაქე იყო სახელმწიფოს დასაყრდენი, და სახელმწიფო ზრუნავდა მათ გამრავლებაზე სამრი თავდაცვისა თუ თავდასხმის გულისათვის, ომების მიერ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, ზიანის დასაფარავად.

ასეებითად ასეთივე იყო მდგომარეობა ძველ რომშიაც. ცენზორებს დავალებული ჰქონდათ ქონებასათვის ხელ შეეწყობთ; — უცოლოებს კი ედებოდათ ზედმეტი გადასახადი, მაშინ როცა მრავალშვილიანებს დახმარება და ჯილდო ეძლეოდათ. —

საშუალო საუკუნოებშიც არა ერთხელ წამოჭრაღა ხალხის გამრავლების საკითხი. მუდმივი და გუთაქცბელი ომები, მთელ მხარეთ იავარქმნა და გაპარტახება — ანუ «გაუკაცრიელება», როგორც იტყოდნ სოლმე ქართველი ძელი ისტორიკოსები საქართველოს აობრებულ და განადგურებულ კუთხეთა შესახებ, — ჩვეულებრივი მოვლენა იყო, და ამის შედეგი, რასაკვირ ელია, მოსაქლეობის შეზცირება, — რაც თავის მხრივ სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებაზე დაღს ასვამდა.

ომი საშუალო საკუნოებში იყო ერთგვარი ინდუსტრია, დაუზოგავად მრავალ ადამიანურ მსხერპლს რო მოითხოვდა!

ფრანცისკუს პატრიციუსი (გარდაიცვლა 1794 წ.) ქადაგებდა მოსახლეობის ზრდისა და გამრა ლების სჭიროების შესახებ, და ნიკოლო მაკიაველი (1469—1527 წწ.) ხალხის რიცხვის გამრავლებას სამხედრო ინტერესებისათვის მოითხოვდა.

მეჩვიდმეტე და მეთრამეტე საუკუნეში მოსახლეობის საკითხი ერთ მთავარ საზრუნავ საკითხად გადაიცა, ფართო თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მიიღო მერკანტილისტების სკოლა, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში და მეთვრამეტის დასწყისში გაბატონებული იყო როგორც ეკონომიკაში ისე სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში. ქადაგებდა მოსახლეობის ზრდას, მოითხოვდა დაბადებულთა რიცხვის გადიდებას:

- ა) უცოლოობის შეფერხებით,
- ბ) დაქორწინებათა ხელისშეწყობით,
- გ) მრავალშვილიანთათვის დახმარების გაწევით,
- დ) მრუშობის საწინააღმდეგო სასტიკი კანონების შეღბილებით,
- ე) შემოსახლება- ჩამოსახლებისათვის დახმარებით და
- ვ) გადასახლებათა დაბრკოლებით.

ამ მოსაზრებათა მიხედვით ყველგან მრავალი კანონი იქნა გამოცემული. მართალია, მერკანტილისტები, როდესაც ისინი მოსახლეობის ზრდის საჭიროებას ასებულებდნენ ემყარებოდნენ ეკონომიურ დებულებებს, რომლის მიხედვით: რამდენად მეტია ქვეყნის ცხოვრებათა რიცხვი, იმდენად შესაძლებელია მეტი საქონლის წარმოება: რამდენად მეტი საქონელი იქნება დამზადებული, იმდენად უცხოეთში მეტის გაზიდვა შეიძლება; რამდენად მეტი გაიზიდება, იმდენად მეტი ოქრო და ვერცხლი შემოვა ქვეყანაში, — ეს კი ითვლებოდა სიმდიდრის ერთადერთ წყაროდ. ამ ეკონომიურ მოსაზრებათა გარდა, უქველვია, სამხედრო თაღსაზრისიც თამაშობდა ერთგვარ როლს, როდესაც მოსახლეობის ზრდის შესახებ მოთხოვნილებას აყენებდნენ ან რომელიმე ზომებს ახორციელებდნენ. საფრანგეთის ცნობილი მარშალ დე ვობანი (1633—1707 წწ.) სწერდა, რომ მეფეთა სიდიდე, სიმდიდრე და სიძლიერე მხოლოდ მის ქვეშევრდომთა რიცხვით განიზომებაო.

ფიზიოკრატთა სკოლაც ვერ აუვლიდა გერდს ამ ჭირვეულ საკითხს. კენე (1694—1774 წწ.) ამტკიცებდა, რომ ადამიანები სახელმწიფოს ძალის საფუძველს წარმოადგენენ და ამის გამო სწუხდა, რომ საფრანგეთში უხეირო სამეურნეო პოლიტიკის, მერკანტილიზმის წყალობით მცხოვრებთა რიცხვი შემცირდაო. მილიტარიზმმა და სახელმწიფო მანუფაქტურათა ხელოვნურმა განკითვრებამ, მისი აზრით, პირველ ყოვლისა დააცალიერა სოფელი და საშიშ მდომარეობაში ჩააგდო ხალხის რიცხვის ზრდა, შეამცირა იგი. ამიტომ მოითხოვდა იგი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისაკენ დაბრუნებას. თუ ეს მოხდებოდა, ხალხი დაუბრუნდება სოფელს და სასოფლო მეურნეობის ზრდასთან ერთად ხალხის რიცხვის ზრდაც დაიწყებაო.

იოან იოხიმ ბეხერი (1625—1685 წწ.) იმ აზრს იცავდა, რომ თავადი, მეფე, ქალაქი, — თუ ისინი ღარიბი არიან ხალხით, ვერ დაიცავენ თავს მტრისაგან, გარეშე თავდასხმის დაგლა გახდებიანო. აქედან დასკვნა: — უნდა გააზარდოს მოსახლეობის რიცხვი ქვეყნის დასაცავადო.

ასეთივე აზრების წარმომადგენელი იყო ფილიპ ვილჰელმ ფონ პორნიკი, იოან ლაიბი, თეოდორ ლაუ, ზუესმილხი და სხ. და სხ.

ფრანგი მარკი დე მირაბო (1715—1789 წწ.) მოითხოვდა, რომ იმ ქალებს, რომელნიც სახელმწიფოს ბუზს აჩუქებენ, მადლობა გადაეხადოს და თუ გაჭირვებული არიან, ფულით დახმარება უნდა მიეცეთო.

გერმანელი იოან პეტერ ზუესმილხი (1707—1767 წწ.) თავის დებულებას ბიბლიის თქმაზე ამყარებს: გამრავლდითო და მოითხოვდა: —



მოსპობას ყველა დაბრკოლებიდან, რაც დაქორწინებას ხელს უშლის, რაც შვილიანობას აფერხებს: ზრუნვას ქვეშევრდომთა ცხოვრების მოსაწყობად, ქვეყნის მიტოვებისა და გადასახლების აკრძალვას, გადმოსახლებულთათვის კი დახმარებას. ვიმედოვნებო, ამბობს იგი, რომ ამ ოთხი დებულების განხორციელებით მმართველი თავის ქვეყანას ბენდიერს, ძლიერს და მდიდარს გახდის.

დავიწყებული არ უნდა იქნესო. ამბობს ჰორნი, რომელიც ზუესმილხის მოძღვრებას ახასიათებს, რომ იგი იმ დროს სწერდა, როდესაც ხალხის მასებს ჯოჯხე უფრო ნაკლებად აფასებდნენ, როდესაც «ღმერთნი ანა ქვეყნისანი» განუწყვეტელი ომებით, რელიგიის ნიადაგზე სასტიკი დევნითა და ძალადობით მოსახლეობის რიცხვს ანადგურებდნენ, მაშინ როცა მთარული სენის შემთხვევაში, სიყმილის (შიმშილობის) დროს, ხალხის რიცხვი რა მცირედებოდა და ხშირად ნახევრდებოდა კიდევ, — თავს არ იტკივებდნენ.

ამიტომ, რომ მეჩვიდმეტე საუკუნისა და მეთვრამეტის პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში სახელმწიფო მოღვაწენი, მეცნიერები და მწერლები, ყველა იცავდა ხალხის ზრდისა და გამრავლების საკითხს, — თვით სახელმწიფომაც მოჰკიდა ხელი ამაზე ზრუნვას კანონმდებლობის გზით, ვინაიდან, სხვა მოსაზრებაც რომ არ ყოფილიყო, სახელმწიფოს მილიტარული ინტერესები მოითხოვდა ჯარის სათანადო რიცხვი ჰყოლებოდათ!

მხოლოდ სუსტად მოისმის გამაფრთხილებელი ხმა და გამოსჭვივის ის შიში, თუ როგორ იქნება შესაძლებელი ხალხთა ამ გაზრდილი რაოდენობის გამოკვება.

«ხალხის რიცხვი რამდენად უფრო მეტია», ამტკიცებდა იოსებ ფონ ზონენფელსი (1733—1817 წწ.), «მით უფრო მეტი საშუალებაა წინააღმდეგობისათვის, რომელზეც საგარეო უზრუნველყოფაა დამყარებული, მაშასადამე, იგი უნდა იყოს პოლიტიკის ფუძედ»-ო.

ასეთი შეხედულება იყო გაბატონებული, სანამ რობერტ მალთუსმა (თავის ცნობილ წიგნში მოსახლეობის შესახებ, რომელიც გამოცა 1798 წ.) არ შეარყია მისი საძირკველი.

ბუნებრივია, რომ ჭარბი მოსახლეობის შესახებ ქადაგებამ მოწინააღმდეგე აზრი გამოიწვია და რ. მალთუსმა მას მისცა გამოკვეთილი სახე, წარმოადგინა დებულებანი, რომელთა შესახები კამათი დღესაც არაა დასრულებული. მისი დებულებანი მოკლედ შემდეგი არიან: —

მოსახლეობა აუცილებლად განსაზღვრულია კვების საშუალებით. მოსახლეობა იზრდება იქ, სადაც კვების საშუალება იზრდება, თუ მას ხელს არ უშლის რაიმე უძლევი და აშკარა დაბრკოლება. მოსახლეობას აქვს ურყევი მიდრეკილება გაზრდა—სიჭარბისაკენ, მაშინ როცა კვების საშუალება ამავე ოდნობით არ იზრდება. ხალხი მრავლდება, კვების საშუალება ისევ ძველი რჩება ან მცირდება. ჭარბი მოსახლეობა რო არ შეიქმნეს — [მას ერთი მხრივ აბრკოლებს ომი, სენი და სხ.], — ამიტომ ზომები უნდა იქნეს მიღებული ხალხის გამრავლების წინააღმდეგ.

ამ თეორიამ მრავალი მიმდევარი მოიპოვა და კანონმდებლობასაც დალი დაამჩნია. პირველ ყოვლისა მოისპო ყველა ის კანონი თუ განკარგულება, რომელიც წინად მოსახლეობის გამრავლებისათვის ხელის შემწყობად იყო მიმართული, და ბევრგან გამოიცა წინაუკმო კანონები. მაგალითად: აუკრძალეს ღარიბებს დაქორწინება, თუ ისინი ვერ დაამტკიცებდნენ, რომ შეეძლებოდათ ოჯახის შენახვა...

ამ ფრიად საიტერესო საკითხს აღარ გამოვუდგებით. საჭირო იყო მხოლოდ მეჩვენებია, თუ მოაზროვნენ რას ჰქადაგებდნენ და მთავრობანი რა ზომებს მიმართავდნენ, რათა ხალხის რიცხვი გამრავლები-ათ და სახელმწიფოს დაცვის საშუალება გაეძლიერებიათ.

ცხადია, ხალხის გამრავლებისათვის საერთოდ და კერძოდ ომის მიერ მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად მიმართული კანონი და ზომა იყო ხელოვნური, გარეზე დამხმარე თუ ხელისშემწყობ პირობათა მიერ გამოწვეული, მაგრამ ამ ხელოვნურ ზომათა გარდა, მოსახლეობის განვითარებაში და ზრდაში, ომის მიერ გამოწვეული მისი შემცირების მოსპობაში მოქმედებდა და მოქმედებს კიდევ რალაც, რაც ადამიანისა და პოლიტიკის სურვილზე სრულებით არ არის დამოკიდებული, რაც ბუნების სიიღუმლო მყარ მოღვენას წარმოადგენს, და რისი ახსნა-განმარტება დღემდე ჯერ კიდევ მარჩიელობის არეს არ გასცილებია.

ამ საკითხის შესახებ შემდეგ.

ვ . მ ო ძ ვ ე ლ ი

საოჯახო მოქმედებანი მთაში

რელიეფის გავლენა მთაში საბრძოლო მოქმედებებზე.

ფაქტიურის მხრივ, მთა თავისი რელიეფით: ქედებით და წვერვალებით, უღელტეხილებით და გაუვალი ხევებით სამხედრო მოქმედებებზე დიდ გავლენას ახდენს.

თუ განვიხილავთ ქვეითი ჯარის მოქმედებას მთაში, უნდა აღვნიშნოთ, რომ რელიეფი, მთა ყოველივე უპირატესობას აძლევს იმ მებრძოლ მხარეს, რომელიც თავის მოწინააღმდეგეს ზემოდან დაჰყურებს და უჭირავს უმაღლესი პოზიცია, რომლის ცეცხლი და იერიში მიმართულია ზევიდან ქვევით.

წინაუკმოდ, ყოველივე მიმართულია იმ მხარეს წინააღმდეგ, რომელიც დაბლა იმყოფება, უკან იხევს და რომლის შეტევაც მიმართულია ქვევიდან ზევით. აქედან ნათელია, რომ ქვეითი ჯარმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს მოწინააღმდეგეზე მაღლიდან დამყურე პოზიციების დასაკავებლად.

უკანასკნელ ომში მრავალია ამ დებულების დამამტკიცებელი მაგალითი. მთელი ომის განმავლობაში უბრალო გორაკებისა და საწვერავ პუნქტების გარშემო იყო საშინელი ბრძოლები. ლაონის მაღლობების დაკავებამ, ფრანგების მიერ, გადასწყვიტა გერმანიის ფრონტის დარღვევა.

მთაში ქვეითი ჯარის ყოველ მოქმედებას მიზნად უნდა ჰქონდეს მაღლობების ხელში ჩაგდება; მათი დაკავება უფროსობას აძლევს საუკეთესო საწვერავ პუნქტებს და შტაბისათვის ადგილს, საიდანაც შესაძლოა მოქმედებათა თვალყურის დევნა და მათი მართვა.

უფროსის ადგილი, მთაში თუ ბარად, არის ბრძოლის ველის იმ პუნქტზე, საიდანაც შეიძლება შორს თვალის მოვლენა და აგრეთვე მოქმედებათა ცეცხლით შველა.

უმადლეს პუნქტების დაკავება უზრუნველყოფს ჯარს მორალურად და ანიჭებს უმჯობესს პოზიციებს მტრის მოსაგერიებლად. ამგვარად იერიშზე გადასვლა მაღლა მყოფ ჯარისათვის ბევრად უფრო ადვილია ზევიდან ქვევით, მოწინააღმდეგეზე კი ასეთი იერიში დიდ მორალურ გავლენას ახდენს.

როდესაც ქვეითი ჯარი იძულებულია იერიში მიიტანოს ქვეიდან ზევით, მაღლობების დასაკავებლად, მან ყოველთვის უნდა ეცადოს მტრისთვის მოულოდნელად დაიკავოს ზოგიერთი მაღლობები, საიდანაც შეტევის დახმარება და გაადვილება შესაძლო იქნეს.

ყოველთვის უნდა ეცადონ აგრეთვე დიდ აღმართს ფრთებზე მოუარონ და ყოველ შემთხვევაში, დიდ აღმართში პირდაპირი იერიში თავიდან აიცილონ, რადგან მოიერიშე ჯარი ძლიერ იღლება და როდესაც მიზანს მიაღწევს, უკვე დაქანცულია. მისი უკუგდება და განადგურება ძლიერ ადვილია მოწინააღმდეგისათვის, რომელიც ადგილობრივ არის გამაგრებული ან კონტრიერიშზე გადადის.

ამის გამო, ფრონტალური იერიში ქვევიდან ზევით მიმართულ იყოველთვის უნდა იქნეს გაკავშირებული ფრთებზე იერიშებთან და ეყრდნობოდეს რამოდენიმე ცეცხლით მშველელ პუნქტზე.

ამგვარი შეტევის მაგალითი ჩვენ გვაქვს საქართველოს უკანასკნელ ომშიც:

ფრონტალური იერიში ქვევიდან ზევით, რომელიც დამთავრდა კოჯორის უკან დაბრუნებით.

უფროსობა აქ იმ მოსაზრებას დაეყრდნო, რომ მტერი არ იყო ხეირიანად ფეხმოკიდებული კოჯორის პოზიციაზე და ვერ შესძლებდა იმ უპირატესობის გამოყენებას, რომელსაც მდებარეობა ანიჭებდა. გარდა ამისა, ფრთების შემოსავლელად ჯარი იყო საჭირო და ვინაიდან აღარავითარი თადარიგი არ არსებობდა, შეუძლებელი იყო ისედაც მცირე იერიშისათვის დანიშნულ ჯარიდან რაიმე ნაწილის გამოკლება, რადგან მოიერიშე ტალღის გათხელება, მეტადრე აღმართში, ფრიად სახიფათოა. (1)

(1) კოჯორის აღების შესახებ ავტორი შეეკითხა ბ-ნ გენერალ კვინიტაძეს, რომელმაც კეთილ ინება და აუხსნა მას, თუ როგორ იქმნა აღებული კოჯორი. გამოიჩინა, რომ ზემოდმოყვანილი ვერსია არ არის სასესებით სწორი, და აი რატომ. ავტორი, რომელიც იმყოფებოდა კოჯორის წინ არტილერიის პოზიციაზე, ხედავდა თუ რა ხდებოდა მის

ეს იერიში ეყრდნობოდა არტილერიის ცეცხლით მშველელ ჰქმნებოდა, რომელიც იყო სამთო ბატარეა [შტაბის წინ, ხევის ნაპირას, ტაბახმელას გზაზე] და საველე მწყობრი [მთაზე, რომელიც ტაბახმელას ზემოდან დაჰყურებს].

მოგერიებითი ბრძოლებში — ქვეითა ჯარმა უნდა დაიკავოს ისეთი პოზიციები, რომ შეუძლებელი იყოს მისი მიდგომა მტრის მიერ თუ არ პირდაპირ აღმართში შეტევათ. გარდა ამისა. ამ პოზიციის დასაცავად უნდა შესაძლო იყოს ირიბი ცეცხლის წარმოება. თადარიგი ჯარი უნდა იდგეს ისეთ ადგილას. საიდანაც კონტრიერიშის მიტანა ადვილი უნდა იყოს და მისგან მოითხოვდეს რაც შეიძლება მოკლე დროსა და ნაკლებ დაღლას.

ავტომატიური იარაღები დადგმულ უნდა იქნეს მაღლობებზე, საიდანაც შესაძლო იქნება მისი საუკეთესო გამოყენება მორალური და მატერიალური მხრივ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთა არ არის ხელსაყრელი ასპარეზი სწორ ტრაექტორიის მქონე იარაღებისათვის მრავალ დაუზიანებელ მიდამოების (დაფარულ კუთხეების) გამო, სადაც მტერს ადვილად შეუძლია თავი შეაფაროს

თვალწინ და მისი შთაბეჭდილება შედეგი იყო მხოლოდ იმ ოპერაციებისა, რომელიც მის თვალხედვის სფეროში ხდებოდა. — ნამდვილად კი კოჯორი იქნა აღებული გარმოვლით და არა პირდაპირი ფრონტალური იერიშით. ამ იერიშს ჰქონდა ადგილი, მაგრამ იმ დროს, როდესაც ფუნქციონირებდა აყვანილ ჯარს მამა-დავითზე თავის მხრივაც იერიში მოჰქონდა და უძოს მთა უკვე გაკავებული იყო წყნეთის მიმართულებით მომავალ ნაწილების მიერ. უძოს მთა კი ზემოდან დაჰყურებს კოჯორს. მაშასადამე, კოჯორის აღება მოხდა ტაბახმელის, მამადავითის და წყნეთის მხრივ მოტანილ იერიშებით და არა მარტო ერთი ფრონტალური იერიშით ტაბახმელის ფრონტზე.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ კოჯორის უკან დაბრუნება რაც შეიძლება მალე უნდა მომხდარიყო, რათა მტერი ზედ არ გამაგრებულიყო, ამის უტყუარი დამამტკიცებელია ის ხარბაზნები, რომელიც მოიერიშე ჯარმა ხელში ჩაიგდო კოჯორის გზაზე. და რომ ამ იერიშს დაეგვიანებია რამოდენიმე საათით, მაშინ მას წინ აელოებოდა ოთხი საველე ხარბაზნის ცეცხლი.

ყოველთვის არ არის შესაძლებელი საუკეთესო პოზიციების დაკავება ირიბი ცეცხლის საწარმოებლად და დაფარული მიდამოების დასაზიანებლად, ამიტომ ზნეილი ტრაექტორიის მქონე იარაღები, რომელიც ქვეითი ჯარის ნაწილებს აქვთ, იხვეჭენ ფრიად მნიშვნელოვან გავლენას სამთო ომში.

მათი მუნიციის მომარაგებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და როდესაც კი შესაძლოა, მაგალითად, მოგერიებით ბრძოლაში გააორკეცონ მათი მომარაგება.

შეტევაზე გადასვლის წინ კი თითოეულ ჯარისკაცს, ჩალანდრებს და ხელზე მოსამსახურეთაც ნაწილის უფროსმა უნდა დაურიგოს თოფით სასროლი და სხვაგვარი თითო ან ორ-ორი ყუმბარა.

აღვნიშნათ აგრეთვე — ქვეითი ჯარის ზნეილი ტრაექტორიის მქონე იარაღების შესახებ, რომ მათი შორს სროლა იცვლება იმისდამხედვით, თუ რომელი მიმართულებით ვისკრით, ზევიდან ქვევით თუ ქვევიდან ზევით.

ნ . თ ო ხ ა ძ ე

ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო «მხედარი»-ს ეს ნომერი გამოდის შემცირებული. შემდეგი ნომერი გამოიცემა შესაფერად გადიდებული, აწყობილი ახალი, უფრო დიდი ასობით.

რედაქციის მისამართი: —

M. MKEDARI

47, rue Chardon-Lagache, Paris-16^e.